



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011754982157620

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 289211

27 / აგვისტო / 2020 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 297706/17; **თარიღი:** 18.08.2020 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი:** აგრა აკობიას უფლებამონაცვლე გენო აკობია (პირადი ნომერი 19001046223).

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის წარმომადგენელი:** ფატმან ბერაია (პირადი ნომერი 62005001004).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამეგრელოს რეგიონული ოფისი (შემდგომში - „სამეგრელოს რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882016730372-36 (27.07.2020) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა:** გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ №194341 (06.07.2020 წ.) გადაწყვეტილების აღსრულება და მოთხოვნილი უფლების რეგისტრაცია.

**ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირები:** სსიპ თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და შპს „ზუგდიდაგროსერვისი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 420424589).

**უძრავი ნივთის მისამართი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი.

№ 297706/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გათვალისწინებით, № 882016730372 სარეგისტრაციო წარმოებაზე, 2016 წლის 12 დეკემბერს მომზადებულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებულია ზედდება 43.17.42.407 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთთან, შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ უნდა იქნეს ამ უძრავი ნივთის რეგისტრირებული მესაკუთრე - სსიპ თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და უზუფრუქტუარი - შპს „ზუგდიდაგროსერვისი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 420424589).

საჯარო რეესტრმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების საფუძველზე,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში აგრა აკობიას უფლებამონაცვლის გენო აკობიას წარმომადგენლის ფაქტმან ბერაიას №297706/17 (18.08.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
  2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ იქნენ სსიპ თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და შპს „ზუგდიდაგროსერვისი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 420424589);
  3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოთ სამეგრელოს რეგიონულ ოფისსა და დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ პირებს;
  4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;
  5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე საჯარო რეესტრში (მისამართი: ქ. თბილისი, თბილისის იუსტიციის სახლი, სანაპიროს ქ. №2) და ზუგდიდის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, თეატრის ქუჩა № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
  6. წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
- წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელემბრონულად 

ვახტანგ ბოხაშვილი